პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

შაბათი, 24 ივლისი, 1943 წ. № 156 (6781). ფასი 20 კაპ.

ურყევად დავიცვათ ჩაის ფოთლის კრეფის, მიღება-გადამუშავების წესები

სერიოზული ამოცანების წინაშე დგანან საქართველოს სუბტროპიკული რაიონების პარტიული ორგანიზაციები, საბჭოთა და სამეწარმეო ორგანოები, კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, ჩაის ფაბრიკები. ჩვენს ქვეყანასა და ფრონტს უნდა მივცეთ უფრო მეტი მაღალხარისხოვანი ჩაი და კვების სხვა პროდუქტები. მთელმა რიგმა რაიონებმა, კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა, რომლებმაც მტკიცედ დანერგეს ფოთლის განუწყვეტელი კრეფა, მაქსიმალურად გამოიყენეს და იყენებენ მთელ შრომისუნარიან მუშახელს, წარმატებით შეასრულეს ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის მაის-ივნისის გეგმები.

უმაღლესი მთავარსარდლის საბჭოთა კავშირის მარშალის ამხანაგ **სტალინის** საპირველმაისო ბრძანებით აღფრთოვანებული კოლმეურნეები, საბჭოთა მეურნეობებისა და ჩაის ფაბრიკების მუშები ენერგიულად მუშაობენ, რომ მთლიანად და გადამეტებით შეასრულონ ჩაის ფოთლის კრეფისა და გადამუშავების გეგმები. ჩაის ხავერდოვან პლანტაციებში სოფლის მეურნეობის წარჩინებული ადამიანები შრომის ნაყოფიერების გადიდების საუკეთესო ნმუშებს იძლევიან. მახარაძის რაიონის სოფ. ნატანების ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრმა ამხ. ლიუდი ხურციძემ 16 ივლისს 2.300 კილოგრამი ჩაის ფოთოლი მოჭრიფა და ამ დღეს 120 შრომადღე გამოიმუშავა. ყოველდღიურად იზრდება სტახანოველ ჩაის მკრეფავთა რიგები. ამოცანა ახლა ის არის, რომ თვრთოდ დავნერგოთ ჩაის მკრეფავ მოწინავეთა მდიდარი გამოცდილება.

ივლისი ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმის შესრულების გადამწყვეტი თვეა. ეს გვავალებს ჩაის ფოთოლი ვკრიფოთ დროულად, განუწყვეტლივ, არ დავუშვათ მისი გაუხეშება. ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის ტემპების გადაჭრით გაძლიერებასთან ერთად უდიდესი ყურადღებით უნდა მივეკიდოთ კრეფის დადგენილი წესების მტკიცედ დაცვას. მთავარია ის, რომ განუხრელად დავიცვათ ჩაის ფოთლის კრეფისა და მიღების წესები დაწესებული ასორტიმენტის მიხედვით. ამ მხრივ პასუხსაგები ამოცანა აკისრიათ ჩაის ფაბრიკების და მისი მიმღები პუნქტების ხელმძღვანელებს. მათი ვალია მტკიცედ დაიცვან ჩაის ფოთლის მიღების წესები სუფთა ასორტიმენტის მიხედვით. სუბტროპიკული რაიონების პარტრაიკომებმა, რაისაბჭოების აღმასკომებმა მტკიცე კონტროლი უნდა დააწესონ ჩაის კრეფა-მიღების ასორტიმენტის ხარისხობრივი მაჩვენებლების დაცვაზე. არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავუშვათ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ფოთლის კრეფა შერეულად, ე. ი. როცა ჩაის ფოთოლს როგორც პირველი, მეორე, ისე მესამე ხარისხისას ერთად ჭკრეფენ. ეს არის ჩაის კრეფის წესების უხეში დამახინჯება. რა თქმა უნდა, ჩაის კრეფის ტემპების გაძლიერებას, გეგმის რაოდენობრივად შესრულებას შეუნელებელი ყურადღება უნდა მივაქციოთ. მაგრამ ეს არ უნდა მოხდეს ხარისხის გაუარესების ხარჯზე. არ უნდა გაგვიტაცოს მხოლოდ რაოდენობრივმა მაჩვენებლებმა, რადგან ხარისხის გარეშე არ არსებობს გეგმის შესრულება.

ბევრგან პარტიის რაიონულ კომიტეტებს, რაისაბჭოების აღმასკომებს თავიანთი ყოველდღიური მუშაობის ყურადღების ცენტრში აქვთ მოქცეული ეს საკითხი და მტკიცე კონტროლი აქვთ დაწესებული იმისათვის, რომ განუხრელად იქნას დაცული ჩაის ფოთლის კრეფისა და მიღების წესები ასორტიმენტის მიხედვით. ეს ითქმის უპირველეს ყოვლისა მახარაძის, ლანჩხუთის, ჩოხატაურის და გეგეჭკორის რაიონების შესახებ.

მაგრამ ჯერ კიდევ ზოგიერთ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში და ჩაის ფაბრიკების ზიმღებ პუნქტებში არღვევენ ჩაის კრეფა-მიღების დადგენილ წესებს, არიან რა გატაცებული გეგმის რაოდენობრივი შესრულებით. ჩაის ფოთლის მიღების წესები დაარღვიეს ქობულეთის, ჩაქვის, ბობოყვათის და სალიბაურის ჩაის ფაბრიკებში. კრეფის წესების დამახინჯებას ადგილი ჰქონდა ჩაქვის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში. ეს იმიტომ მოხდა, რომ აღნიშნული ჩაის ფაბრიკების და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებმა უდარდელობა გამოიჩინეს და დაარღვიეს ფოთლის მიღების ინსტრუქცია. ყოველივე ეს იმის შედეგიც არის, რომ ზოგან პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების მიერ ნაკლები კონტროლი ეწეოდა ჩაის კრეფა-მიღების წესების განუხრელად დაცვას. ჩაის რაიონების პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა, სამეწარმეო ორგანოებმა, კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა და ჩაის ფაბრიკების ხელმძღვანელმა მუშაკებმა უნდა უზრუნველჰყონ ჩაის ფოთლის კრეფა-მიღების ასორტიმენტის მტკიცე დაცვა.

ჩაის პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება ჩაის ფაბრიკების ხელმძღვანელ მუშაკთა, მთელი კოლექტივის საბრძოლო ამოცანაა. იქ, სადაც მტკიცედ იცავენ ტექნოლოგიურ პროცესებს, ფოთლის მიღების წესებს—კარგ შედეგებს აღწევენ. მაგალითად, წულუკიძის (დირექტორი ამხ. შარაშიძე), წალენჯიხის (დირექტორი ამხ. კვარაცხელია), დიდი ჭყონის (დირექტორი ამხ. ჩაგუნავა) ჩაის ფაბრიკებმა გადაჭარბებით შეასრულეს ჩაის მზა პროდუქციის გამოშვების ივნისის გეგმები. მაგრამ ყველა ჩაის ფაბრიკა როდი მუშაობს ასე. ზოგან მაინც არღვევენ ტექნოლოგიურ პროცესებს. ასეთები არიან ქობულეთის, ბობოყვათის, ჩაქვის ჩაის ფაბრიკები. არადამაკმაყოფილებლად მუშაობს ახალხიბულის ჩაის ფაბრიკა და მისი დირექტორი ამხ. კოკაია, რომელსაც არ შეუსრულებია ჩაის მზა პროდუქციის გამოშვების ივნისის გეგმა. აჩიგვარის ჩაის ფაბრიკამ (დირექტორი ამხ. გვაძაბია) ჩაის მზა პროდუქციის გამოშვების ივნისის გეგმა მხოლოდ 28,7 პროცენტით შეასრულა. ჩამორჩენილი ჩაის ფაბრიკების ხელმძღვანელმა მუშაკებმა უნდა გარდაჭრმნან შეუშაობა. მტკიცედ დაიცვან ტექნოლოგიური პროცესები და მიაღწიონ ჩაის მზა პროდუქციის ხარისხის გადაჭრით გაუმჯობესებას. პარტიის რაიონულმა კომიტეტებმა მეტი ოპერატიული ხელმძღვანელობა და დახმარება უნდა გაუწიონ ჩაის ფაბრიკებს და უზრუნველჰყონ მათი სანიმუშო მუშაობა.

სუბტროპიკული რაიონების პარტიული ორგანიზაციების, საბჭოთა და სამეწარმეო ორგანოების გადაუდებელი ამოცანაა ჩაის ფოთლის კრეფის, მიღებისა და გადამუშავების წესების განუხრელად განხორციელებით უზრუნველჰყონ მიმდინარე წლის საწარმოო ღონისძიებების შესრულება. ჩაის ფოთლის კრეფის და მზა პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმა შევასრულოთ ხარისხობრივი მაჩვენებლების მტკიცე დაცვით. ზურგში დაუღალავი შრომით კიდევ უფრო გავაძლიეროთ დახმარება ჩვენი მშობლიური წითელი არმიისადმი, რომელიც გმირულ ბრძოლას ეწევა ვერაგი მტრის—გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა სრული განადგურებისათვის.

ჩვენი ჯარები წინ მიიწევენ

ბელგოროდის მიმართულება, 22 იულისი (საკდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). საფრონტო გზის ნაცნობი მოსახვევები. ჩვენს წინ გადაშლილია ამასწინანდელი ცხარე ბრძოლების ადგილები. აქ იყო გერმანელთა დარტყმის მთავარი მიმართულება, და მტერმა, რომელმაც ბრძოლაში ათასობით ტანკი გამოიყენა, მაშინ მოახერხა მოკლე ხნით რამდენადმე შეეფერხებინა ჩვენი ნაწილები. თავიანთი უმნიშვნელო წინწამოწევა გერმანელებს უდიდეს ფასად დაუჯდათ.

აი გაშლილ ველზე ჰვავში დგას ფაშისტთა რამდენიმე ათეული ტანკი. ასე მოდიოდნენ ისინი საიერიშოდ ჩვენს პოზიციებზე და ასევე დარჩნენ აქ სამუდამოდ მილურსნულნი მიწაზე საბჭოთა მეომრების მიერ. მანქანების ახლოს ჰყრია მოკლული გერმანელი ტანკისტები. ცოტა მოშორებით, მაღლობზე, გროვად ჰყრია მტრის დამსხვრეული ქვემეხები, ტრანსპორტიორები, ავტომანქანები. და ასევე ყველგან. ჩვენი ჯარების შეტევის მთელ ზზაზე მტერმა აქ დაჰკარგა ასობით ტანკი, მრავალი ავტომანქანა, ქვემეხი, ტყვიამფრქვევი, ნაღმსატყორცნი. კურსკის მიწა აბარად იქცა ათეულათასობით ფაშისტი ჯარისკაცისა და ოფიცრისათვის. საბჭოთა ჯარების მტკიცე წინააღმდეგობამ მოჰქანცა, სისხლისგან დასცალა გერმანელები, და ალა, როცა ჩვენს ნაწილებს კონტრიერიში შიაქვთ მოწინააღმდეგეი, იგი იძულებულია მთელი ძალები დაძაბოს. რათა შეაჩეროს ჩვენი იერიში.

— ჩვენ გვარწმუნიდნენ, რუსების საბჭოთა რეზერვების ნაშთებს ვსობთ და სიმარცხეა მხოლოდ უკანასკნელი ძალ-ღონის ოკრება, რომ კორსუნსკაენ გავიჭრათო. — აჩვენა ტყვედ წამოყვანილმა გერმანელთა შტაბის ოფიცერმა.—მაგრამ აი მოვიდა ბრძანება შტაბიდან თავდაცვაზე გადასვლის შესახებ და ჩვენ მივხვდით, რომ ჩვენი შეტევა ჩაიფუშა.

საბჭოთა ჯარები გააფთრებულ წინააღმდეგობას ხვდებიან. ათობით მანქანა სამკვდრო-სასიცოცხლოდ ებმება ერთმანეთს შუმხვედრ ბრძოლებში. ამ ბრძოლებში სამუდამოდ ასახელის თავიანთი საბრძოლო დროშები ტანკისტებმა.

ტანკები პირველნი ამსხვრევდნენ მტრის თავდაცვას. უკვე ბრძოლის პირველ საათებში გერმანელები. რათა მდგომარეობა ეხსნათ, იძულებულნი იყვნენ გამოეყენათ ბრძოლის ველზე თავიანთი სარეზერვო სატანკო ნაწილები. მარტო ერთი მიმართულებით მტერმა ჩვენს ტანკებს დაუპირისპირა თავისი მანქანების დიდი ჯგუფი, რომლებსაც ყველა ადგილიდან მოუყარა თავი. ტანკების ამ ჯგუფს ჰაერიდან დახმარებას უწევდა თვითმფრინავების დიდი რაოდენობა.

გერმანელებმა არა ერთხელ სცადეს კონტრიერიში მოეტანათ ჩვენზე და თავიანთი იერიშებით ჩაეშალათ საბჭოთა კონტრშეტევა. მაგრამ საბჭოთა ნაწილები განადგურებდნენ წინსვლას და განდევნეს მოწინააღმდეგე მთელი რიგი დასახლებული პუნქტებიდან.

ტანკისტებს დაუჯერებლად მიჰყვებიან ჩვენი სახელოვანი ქვეითები. ისინი ბრძოლას ეწევიან ფაშისტების ტანკებთან, გრანატებითა და ხიშტებით ერეკებიან გერმანელებს სანგრებიდან. ტანკების გამანადგურებელთა მარტო ერთი ქვეგანყოფის მებრძოლებმა ცეცხლი წაუკიდეს და დააზიანეს მტრის ათობით მანქანა. ბრძოლის დროს გერმანელთა სანგრებში ვაუკაცურად მოქმედებდა გვარდიის ლეიტენანტ ტოვპენკოს მსროლელი ოცეული. გვარდიის სერჟანტი ბობილოვი გაბედულად ჩახტა სანგარში, სადაც სამი გერმანელი იყო მიმალული. ერთი ფაშისტი მან ხიშტით განგმირა, ორი კი გრანატით მოსპო. გვარდიელმა ტარასოვმა ორი ფაშისტი განგმირა. ტოვპენკოს ოცეულმა დაიკავა დიდმნიშვნელოვანი ზღუდე.

სულ უფრო და უფრო ძლიერ ურტყამენ რა მტერს, საბჭოთა ნაწილები განაგრძობენ წინსვლას. ისინი უტევენ მრავალი ათეულიჩვენი ტანკის ჯავშნით დაცულნი, ჰაერიდან საბჭოთა თვითმფრინავების მრავალრიცხოვანი რაზმებით დაფარულნი.

გერმანელები უკან დახევისას სწვავენ მშვიდობიან საბჭოთა დაბებსა და სოფლებს, მხეცურად უსწორდებიან მათს მოსახლეობას. ფაშისტებს ძალით მიჰყავთ თან უმწეო მოხუცები, დედაბრები, ქალები და ბავშვები, ხოლო ყველა იმათ, ვინც უარს ამბობს მათთან წასვლაზე, ადგილზე ხვრეტენ. ხუტორ ი-ში და სოფელ ნ-ში გერმანელებმა დახვრიტეს ათობით მშვიდობიანი მცხოვრები და მათი ბავშვები, რომლებიც ცდილობდნენ გამოქცეოდნენ ბარბაროსებს. მტრის ეს მხეცობა კიდევ უფრო ამწვავებს მეთაურთა და მებრძოლთა მძაფრ სიძულვილს ოკუპანტებისადმი და მოუხმობს საბჭოთა მეომრებს მოწინააღმდეგის გადამწყვეტი განადგურებისაკენ.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

23 ივლისის ოპერაციული ცნობა

23 ივლისის განმავლობაში ჩვენი ჯარები ორიოლის მიმართულებით სძლევდნენ მტრის წინააღმდეგობას, განაგრძობდნენ შეტევას და წინ წაიწიეს 4-დან 6 კილომეტრამდე.

ბელგოროდის მიმართულებით ჩვენი ჯარები სძლევდნენ მტრის წინააღმდეგობას და კონტრიერიშებს და წინ წაიწიეს 6-დან 8 კილომეტრამდე.

სამხრეთით, დონბასში, იზიუმის სამხრეთით მდებარე რაიონში და ვოროშილოვგრადის სამხრეთ-დასავლეთით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლებს და გაიუმჯობესეს თავიანთი პოზიციები.

კრასნოდარის სამხრეთ-დასავლეთით ჩვენმა ჯარებმა ადგილობრივი მნიშვნელობის იერიშების შედეგად გაიუმჯობესეს თავიანთი პოზიციები.

22 ივლისის განმავლობაში ორიოლის მიმართულებით ჩვენმა ჯარებმა დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 92 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 112 თვითმფრინავი.

* * *

ორიოლის მიმართულებით ჩვენი ჯარები სძლევდნენ მტრის წინააღმდეგობას და განაგრძობდნენ შეტევას.

ორიოლის ჩრდილოეთით, ჩვენი ჯარების მიერ გუშინ დაკავებულ ქალ. ბოლხოვის რაიონში, გერმანელებმა რამდენიმე გაფანტრებული კონტრიერიში მოიტანეს. საბჭოთა ნაწილებმა მოიგერიეს მტრის ყველა კონტრიერიში, ამასთან გაჟლიტეს გერმანელთა ერთ პოლკამდე ქვეითი ჯარი, მოსპეს 43 ტანკი და ხელთ იგდეს დაკლა, მათ შორის 9 ტანკი და 16 ქვემეხი. სხვა უბანზე ჩვენმა ნაწილებმა შეუპოვარი ბრძოლების შედეგად დაიკავეს მოწინააღმდეგის ძლიერ გამაგრებული დასაყრდენი პუნქტი. ამ პუნქტისათვის ბრძოლებში მოსპობილია 1.800 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. დაზიანებულია მტრის 28 ტანკი და 8 თვითმავალი ქვემეხი.

ორიოლის აღმოსავლეთით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ წინსვლას. გამაგრდნენ რა წყლის ზღუდის ნაპირზე, გერმანელები ცდილობდნენ შეეჩერებინათ საბჭოთა ნაწილების შეტევა. ჩვენმა მებრძოლებმა სწრაფი ნახტომით გადალახეს მდინარე და გააფთრებული ბრძოლების შედეგად დაიკავეს რამდენიმე დასახლებული პუნქტი. დღის განმავლობაში ამ უბანზე მოსპობილია 2.000-ზე მეტი ჰიტლერელი.

ორიოლის სამხრეთით მარტო ერთ უბანზე მოსპობილია ორი ბატალიონი ჰიტლერელი, დაზიანებული და დამწვარია გერმანელთა 14 ტანკი. ჩვენმა ნაწილებმა ხელთ იგდეს რამდენიმე საწყობი სურსათითა და, სამარ მასალიანად და სამხედრო ქონებიანად.

* * *

ბელგოროდის მიმართულებით ჩვენი ჯარები, იგერიებდნენ რა მოწინააღმდეგის კონტრიერიშებს, განაგრძობდნენ წინსვლას. ნ შენაერთის ნაწილებმა დაიკავეს მთელი რიგი დასახლებული პუნქტები და ამასთან მოსპეს მოწინააღმდეგის ათასამდე ჯარისკაცი, გერმანელთა 10 ტანკი, 5 ჯავშანტრანსპორტიორი და 8 თვითმავალი ქვემეხი. ჩვენი სხვა შენაერთის ნაწილებმა წინ წაიწიეს 8 კილომეტრით. გვარდიის უფროსმა ლეიტენანტმა სემინმა 25 მეავტომატიანად უეცარი თავდასხმით ხელთ იგდო ერთი დასახლებული პუნქტი და შეინარჩუნა იგი ძირითადი ძალების მისვლამდე. გვარდიის ლეიტენანტ კუშლიანსკის საარტილერიო ოცეულმა მოწინააღმდეგის კონტრიერიშის მოგერიებისას დაზიანა გერმანელთა 8 ტანკი.

* * *

იზიუმის სამხრეთით გრძელდებოდა ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლები მოწინააღმდეგე ცდილობდა დაებრუნებინა წინა დღით დაკარგული პოზიციები, მაგრამ წარმატებას ვერ მიაღწია. გერმანელთა ერთმა პოლკმა ქვეითმა ჯარმა და 80 ტანკმა კონტრიერიში მოიტანეს ნ ნაწილზე. ჰიტლერელებს საარტილერიო ცეცხლით შეხვდნენ. მათ უკან დაიხიეს და ბრძოლის ველზე დასტოვეს 18 დამსხვრეული ტანკი და 600-მდე თავიანთი ჯარისკაცისა და ოფიცრის გვამი, ნ ნაწილის მებრძოლები წინწაწევიხას მტრის ძლიერ ცეცხლთან წინააღმდეგობას შეხვდნენ. უფროსი სერჟანტი მამუნცი და წითელარმიელი დაუშვილი ფარულად მიხოხდნენ მტრის ძლიერწურ საცეცხლე წერტილთან, საიდანაც გერმანელები გრიგალისებურ ცეცხლს ვეშენდნენ. ჩვენმა მებრძოლებმა გრანატები დაუყარეს ძელმიწურ საცეცხლე წერტს და მოსპეს შიგ მყოფი ჰიტლერელები. იმ ქვეგანყოფის წითელარმიელებმა, რომლის მეთაური არის კაპიტანი სობაკარი, ზალპური ცეცხლით ჩამოაგდეს გერმანელთა 2 მოპიკრე ბომბდამშენი, ერთ უბანზე წითელი არმიის მზარეზე გადმოვიდა გერმანელ ჯარისკაცთა რამდენიმე ჯგუფი.

* * *

ვოროშილოვგრადის სამხრეთ-დასავლეთით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ აქტიურ საბრძოლო მოქმედებას და დაიკავეს რამდენიმე ხელსაყრელი პოზიცია. ნ შენაერთის ნაწილებმა 4 დღის ბრძოლების განმავლობაში გაჟლიტეს რამდენიმე ათასი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, და მოსპეს მოწინააღმდეგის ოცეული ტექნიკა. გერმანელებმა არაერთხელ მოიტანეს კონტრიერიში. ბატალიონმა გვარდიის კაპიტან კალინინის მეთაურობით მოიგერია ჰიტლერელთა რამდენიმე გაფანტრებული კონტრიერიში და დიდი ზარალი მიაყენა მტერს ცოცხალ ძალის მხრივ. უფროს ლეიტენანტ ეკოვის ასეულის ჯავშანმტვრეველებმა დღის განმავლობაში დაზიანეს მტრის 5 ტანკი.

* * *

კალინინის ფრონტის ერთ უბანზე ჩვენი მზვერავი რაზმი თავს დაესხა მოწინააღმდეგის დასაყრდენ პუნქტს. მზვერავმა წითელარმიელებმა დასძლიეს მავთულლობარები. შეიჭრნენ მტრის სანგრებში, 40 გერმანელი გაჟლიტეს ხელჩართულ ბრძოლაში და ხელთ იგდეს დაკლა და ტყვეები.

* * *

ბალტიის ფლოტის მფრინავებმა იერიში მიიტანეს მოწინააღმდეგის ტრანსპორტებზე. დაკვირვებამ ცხადყო, რომ ტორპედო პირდაპირ მოხვდა გერმანელთა 8.000 ტონა წყალწყვის ტრანსპორტს. ტრანსპორტი გადაიმტვრა და ჩაიძირა.

* * *

ჟიტომირის ოლქის ერთ-ერთ რაიონში მოქმედმა პარტიზანულმა რაზმმა ნაღმებზე აფეთქა გერმანელთა ეშელონი ტანკებიანად. დაემსხვრა ორთქლმავალი და 22 პლატფორმა, გაფუჭებულია ყველა ტანკი. რამდენიმე დღის შემდეგ რკინიგზის მეორე უბანზე ამ რაზმის პარტიზანებმა ლიანდაგიდან კადაადგეს მოწინააღმდეგის კიდევ ორი სამხედრო მატარებელი.

სიღნაღის რაიონის სოფლის მეურნეობის მოწინავე ადამიანები სურათზე: მარცხნიდან მარჯვენივ—ზემო რიგში: სოფ. ბოდბის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე თ. ტარყაშვილი, ულიანოვკის მტს-ის კომბაინერები: ა. პიდენკო, ი. ბეგაშვილი, ა. მოსაშვილი. მეორე რიგში: სოფ. ქვემო მაღაროს კოლმეურნეობა „შრომის“ კოლმეურნეები: ნ. ძნელაშვილი, მ. ვარსემაშვილი, ა. უსენაშვილი, სოფ. ბოდბის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი ი. ტარყაშვილი.

ფოტო რ. აკოფოვისა

უდანაკარგოდ ავილოთ უხვი სამხედრო მოსავალი

სიღნაღი („კომუნისტის“ სპეც. კორ.). პურეულის მოსავლის აღება მასობრივად არის გაჩაღებული. ადგილებზე შემოწმებამ ცხადჰყო, რომ რაიონის კოლმეურნეობები წელს სტახანოვური შრომის შედეგად გაცილებით უფრო მაღალ მოსავალს იღებენ შარშანდელთან შედარებით. სოფელ ბოდბის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში საშუალოდ ჰექტარზე 20 ცენტნერ პურს იღებენ. ამავე სოფლის ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში—18 ცენტნერს. ასევე მაღალ მოსავალს იღებენ სოფ. მაღაროს კაგანოვიჩის-სახელობის, სოფ. ქვემო მაჩხაანის დიმიტროვის სახელობის და მთელ რიგ სხვა კოლმეურნეობებში. სოფ. მაღაროს კოლმეურნეობა „შრომის“ პირველ. მეორე და მესამე ბრიგადებში კი პურის საშუალო მოსავალი ჰექტარზე 25 ცენტნერამდე აღწევს.

კოლმეურნეობებში წინასწარ შედგენილია გეგმები, თუ რამდენმა კოლმეურნემ იმუშაოს ნამვილი, ცელით და სხვ., ვინ მოეძსახუროს კომბაინს, ტრანსპორტს. წელს მოსავლის აღებაზე მასობრივად მუშაობენ ქალები და მოზარდები. კოლმეურნეებს მოსავლის აღებაში ეხმარებიან 400-მდე მუშა. მოსამსახურე და მერვე, მეცხრე და მეათე კლასების მოსწავლეთაგან შემდგარი 90 რაზმი 926 კაცის რაოდენობით. სქ. კ. პ. (ბ) სიღნაღის რაიკომისა და რაისაბჭოს აღმასკომის დადგენილებით კოლმეურნეობებსა და მტს-ებში მიმაგრებულია 33 პასუხისმგებელი მუშაკი.

კოლმეურნეობებში გეგმით გათვალისწინებული 21.608 ჰექტარიდან უკვე აღებულია თითქმის ნახევარი. მათ შორის ხელით ასაღებად გათვალისწინებულ 3.000 ჰექტარიდან—2.000-ზე მეტი. სოფ. ვაქირის XVII პარტყრილობის, სოფ. ტიბაანის მოლოტოვის სახელობის და დაბა წნორის სტალინის სახელობის კოლმეურნეობებმა. აგრეთვე სოფ. ანაგის კოლმეურნეობა „ნაპერწკალმა“ პურეულის მოსავლის აღება 17 ივლისამდე დაამთავრეს. კოლმეურნეობებში პურეული მომკისთანავე იდგმება ათეულებად, მესამე, მეოთხე დღეს კი—ზვინებად.

კოლმეურნეობებში, გარდა ხელით აღებულისა, მომკილი პურეული მთლიანად გალეწილია. წინასწარ დეზინფიცირებული და შემოწმებულია ბეღლები. მოსავლის დაცვასათვის თითოეულ კალოზე გამოყოფილია სველე საწყობის გამგე და დარაჯები, როგორც წესი ხდება აღებული მარცვლეულის აწონვა და საბუთებით გაფორმება. კოლმეურნეობები პირველ განალეწ მარცვლეულს სახელმწიფოს აბარებენ. წელს ჩაბარების გაადვილების მიზნით რაიონში მოეწყო დამატებითი საწყობი, სადაც პურეულის მიღება განუწყვეტლივ სწარმოებს. კოლმეურნეობებმა სახელმწიფოს უკვე ჩაბარეს 900 ტონაზე მეტი მარცვლეული, წინასწარ გაწმენდილი და დახარისხებული.

საკოლმეურნეო მინდვრებში მოსავლის აღებაზე წარმატებით მუშაობენ ულიანოვკის, ალაზნისა და წნორის მტს-ების კომბაინები. მარტო ალაზნის მტს-მა (დირექტორი ამხ. ვ. კანაშვილი) გეგმით გათვალისწინებული 5.850 ჰექტარიდან კომბაინებით უკვე აიღო 3.000-მდე ჰექტარი. მთელმა რიგმა კომბაინერებმა უზრუნველჰყვეს მანქანების სრული დატვირთვით მუშაობა. ულიანოვკის მტს-ის კომბაინერები იღო ბეგაშვილი, ალ. პიდენკო, არსენ მოსაშვილი, ი. მანჯაფარაშვილი, მ. ბახტურიძე, ნ. მარკუშინი. მიხ. ჩუთლაშვილი მოსავალს დღეში ნაცვლად 8 ჰექტარისა 15-18 ჰექტარზე იღებენ თითოეული. კომბაინერებს წარმატებით ეხმარებიან ტრაქტორისტები ნინო გიგოლაშვილი, სოფინო უსენაშვილი. ანა კოჭლამაზაშვილი და სხვ. წნორის მტს-ის კომბაინერმა გიორგი ხატიაშვილმა წელს ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 200 ჰექტარისა მოსავლი უკვე აიღო 320 ჰექტარზე და ახლა დამატებით იღებს 300 ჰექტარზე. მაღალ გამომუშავებას აღწევენ აგრეთვე ალაზნის მტს-ის კომბაინერები ნ. უფაროვი, ი. ბაგალიშვილი, გ. ათანელიშვილი, ი. კიკილაშვილი.

მოსავლის უდანაკარგოდ აღებისათვის თავიდანვე ფართოდ გაიშალა მუშაობა სოფ. ბოდბის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ორდენოსანი თ. ტარყაშვილი), აგრეთვე სოფ. მაღაროს კოლმეურნეობა „შრომაში“ (თავმჯდომარე გ. ქადაგიშვილი) და რაიონის მთელ რიგ სხვა კოლმეურნეობებში. სოფ. ბოდბის კოლმეურნეობაში წელს მოსავლის აღებაზე გამოვლენებულია 40-მდე ახალი სტახანოველი, მათ შორის ილია ტარყაშვილი, რომელსაც ორი შვილი ფრონტზე ჰყავს, აგრეთვე დათია კოკლამაზაშვილი (შვილი ფრონტზე ჰყავს), ანიკო ლუკიაშვილი (ქმარი წითელ არმიაში ჰყავს). სამუშაო ნორმებს ხშირად ორმაგად ასრულებენ სოფ. მაღაროს კოლმეურნეობა „შრომაში“ ფრონტელის მამა 60 წლის ალექსი უსენაშვილი, რომელსაც წელს კოლმეურნეობაში აქვს 320 შრომადღე, და ფრონტელის ცოლი ნინო ძნელაშვილი.

მაგრამ მიღწევებთან ერთად მოსავლის აღებაში არის ნაკლიც. ულიანოვკის მტს-ის კომბაინერს ცერცვაძეს 5 დღის განმავლობაში მოსავალი არ აუღია არც ერთ ჰექტარზე, დ. გიგოლაშვილმა კი 12 დღეში მხოლოდ 2 ჰექტარი მომკო, ს. ქადაგიშვილმა—10 დღეში—4 ჰექტარი. კომბაინერ ვ. გიგოლაშვილის უდარდელობის შედეგად მანქანიდან ბარცვლეული დამტვრეული გამოდის, ზოგჯერ კი პური მეტისმეტად მაღლა იმკება. მოსავლის დროზე და უდანაკარგოდ აღებას სათანადო ყურადღებას არ აქცევენ აგრეთვე ალაზნის მტს-ის კომბაინერები ლ. ტარბეკი, ვ. ხანინინი, ლ. შანშიაშვილი, ტ. მენთეშაშვილი (თავთავს ხშირად აყოლებს მარცვალს). გულგრილობის შედეგად ზოგიერთი კოლმეურნეობა ჩამორჩა მოსავლის აღებაში და ადგილი აქვს დანაკარგებს. სოფ. ანაგის კოლმეურნეობა „მისწრაფებაში“ ქერის აღება 3 კვირის წინათ დაამთავრეს, თავთავების აკრეფა კი დაიგვიანეს. სოფ. ნუკრიანის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში კი (თავმჯდომარე ალ. მესტბაშვილი) პურეული 100 ჰექტარზე აიღეს. თავთავები მხოლოდ 5 ჰექტარზე აკრიფეს, ხოლო დანარჩენ ფართობზე ღორები შეუშვეს. კოლმეურნეობაში ხელით აღებაზე მთლიანად არ არის გამოყენებული მუშახელი. სოფ. ბოდბისხევის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ი. მათიაშვილი) წინასწარ არ მოამზადეს კალო და ბუნკერები. ამიტომ კომბაინერი მაკავი იძულებული გახდა პური სამჯერ ნამჯებში დაეყარა. სოფ. ბოდბის კალინინის სახელობის კოლმეურნეობაში ბრიგადირ ი. გიუნაშვილის უყურადღებობით 17 ივლისს მოიმკელ პურის ყანას ხარები ანადგურებდა. სოფ. მაღაროს კოლმეურნეობა „შრომაში“ ბრიგადირმა დ. ყანდაშვილმა 4 საათს მოაცდინა კომბაინი, რადგან არ მიიწოდა წყალი, ურმები და მუშახელი. ამავე მიზეზით 4 საათს მოაცდინეს ორი კომბაინი 14 ივლისს სოფ. ბოდბის ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში. კომბაინების შეუფერხებელი მუშაობა ვერ უზრუნველჰყო აგრეთვე სოფ. ბოდბის 26 კომისრის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე დ. ლოლაშვილი). მანვე დროზე და მასობრივად არ დაიწყო ხელით მკა. არ მოაწყო საველე ფარდულები.

აღსანიშნავია ისიც, რომ რაიონში რსებულ 8 სალეწიდან ჯერ არც ერთი არ მუშაობს. ულიანოვკის მტს-ში შეუკეთებელია 3 სალეწი და 1 კომბაინი, ხოლო ალაზნის მტს-ში 3 კომბაინი და ერთი სალეწი. სუსტად მუშაობს „ზაგატტრანსის“ ყარაიის განყოფილება. ტრესტიდან (დირექტორი ამხ. კუპრავა) საწვავის დროზე მიუწოდებლობის გამო მარცვლეულის გადმოზიდვაზე მომუშავე ზოგიერთი ავტომანქანა ხშირად მოჭედარია.

გადაუდებელი ამოცანაა ყველა არსებული ნაკლის დაუყოვნებლივ გამოსწორება. პოვაწყოთ მოსახლეობის უკლებლად გასვლა მოსავლის აღებაზე და გათენებიდან დაღამებამდე მუშაობა მინდვრად. გავაუმჯობესოთ ტექმომსახურება მტს-ების მიერ და სრული დატვირთვით გამოვიყენოთ კომბაინები. მოსავლის ასაღები მარტივი მანქანები, სალეწები. ფართოდ დაენერგოთ მოწინავე კოლმეურნეობათა მუშაობის გამოცდილება და აუღებელი არ დავტოვოთ არც ერთი თავთავი.

ტრ. თოდრაძე

თეირანში გაიხსნა გამოფენა „საბჭოთა ხელოვნება ომის დღეებში“

თეირანი, 23 ივლისი (საკდესი). თეირანში გაიხსნა დიდი გამოფენა „საბჭოთა ხელოვნება ომის დღეებში“. გამოფენა მოთავსებულია თეირანის ერთ-ერთი უდიდესი სკოლის დარბაზში, რომელიც თავაზიანად დაუთმო ამ საქმეს ირანის განათლების სამინისტრომ. გამ

სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღისათვის

ჩვენს სამხედრო-საზღვაო ფლოტს—დიდება!

შავი ზღვის ფლოტი. სურათზე: წყალქვეშანავები საბრძოლო ოპერაციის შესასრულებლად გასვლის წინ. ფოტო ე. ხალდეისა (საკავშირო ფოტოქრონიკა).

ᲙᲐᲞᲘᲢᲐᲜᲘ Გ. Ი. ᲑᲐᲠᲑᲐᲫᲐᲫᲔ

ლენინგრადის დამცველთა რიგებში მამაცურად იბრძვის ქართველი ხალხის შვილი, წითელროშოვანი ბალტიკის კაპიტანი გრიგოლ იოსების-ძე **ბარბაძაძე**, რომელმაც სახელი გაითქვა, როგორც მედგარმა, უნარიანმა, მოსაზრებულმა მეთაურმა. იგი ლენინგრადის ბლოკადის გარღვევის აქტიური მონაწილეა.

კაპიტანი ბარბაძაძე საზღვაო არტილერიის კადრის ოფიცერია. დაიბადა 1910 წელს სოფ. თერჯოლაში (ჩხარის რაიონი). ქუთაისში საშუალო სწავლის მიღების შემდეგ კომკავშირმა იგი სამუშაოდ გაგზავნა თბილისში მაშინ ახლად ამუშავებულ მაუდ-კამეოლის ფაბრიკაში, სადაც ძალე დაეუფლა საფეიქრო საქმეს. ამ დარგში მან საკმაო ნიჭი და უნარი გამოიჩინა, რისთვისაც უმაღლესი ცოდნის მისაღებად მოსკოვის საფეიქრო ინსტიტუტში გაიგზავნა. ერთ წელს დაჰყო ამ ინსტიტუტში და ერთბაშად მის ცხოვრებაში ისეთი რამ მოხდა, რასაც სრულიად არ ელოდა. მას იძახებენ კომისიაში,—მიდის ახალგაზრდათა შერჩევა სამხედრო სასწავლებლებში. ლაზარე მოსეს-ძე კაგანოვიჩი კანდიდატთან პირად საუბარში ურჩევს ახალგაზრდა ქართველს აირჩიოს სევასტოპოლის სამხედრო-საზღვაო საართილერიო სასწავლებელი, 1932 წ. ამხ. ბარბაძაძე მიდის სევასტოპოლში. რამდენიმე წლის დაძაბული, ბეჯითი მეცადინეობის შემდეგ იგი წარმატებით ამთავრებს სამსწავლებელს და იგზავნება ფლოტში, რომელიც ძალზე შეუუკარდა მას ჯერ კიდევ მოწაფეობისას. კონკურსიდან პრაქტიკაზე ყოფნის დროს.

საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომი ამხ. ბარბაძაძეს უსწრებს ესტონეთში.

სამამული ომის პირველი დღიდან იგი ბალტიის მოქმედ წითელროშოვან ფლოტში იბრძვის გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ, როგორც მოძრავი ბატარიის მეთაური. ეს ბატარია უძველესია ბალტიკაში. უნარიანი მეთაურის ხელში ბალტიკის არტილერისტთა საუკეთესო ტრადიციების მატარებელი ეს მრისხანე იარაღი გერმანელ ფაშისტთათვის რისხვას წარმოადგენს.

მწერალი ვს. ვიშნევსკი ა. წ. 11 თებერვლის „პრავდაში“ მოთავსებულ თავის ნარკვევში — „ლენინგრადთან“ — მოგვითხრობს ამ ბატარიის შესახებ.

— ამ ბატარიაზე გერმანელები ჯერ კიდევ 1941 წელს ნადირობდნენ,—სწერს ამხ. ვიშნევსკი.—ნარვასთან ჩამოგდებულმა გერმანელმა ტყვე მფრინავმა განაცხადა:

— თქვენთან რკინიგზაზე დაიარება რაღაც საზღვაო ნაგებობა, რომელსაც „ბარბაძაძეს“ უწოდებენ“.

„ბარბაძაძე“ თავზარსა სცემს და დაუნდობლად ანადგურებს ფაშისტ ბარბაროსებს, ანგრევს მათს თავდაცვას, გზას უკაფავს მამაც ქვეითებს.

ლენინის ქალაქის ბლოკადის გარღვევის ისტორიულ დღეებში კაპიტან ბარბაძაძის ბატარია აქტიურ მონაწილეობას იღებდა.

როგორც ამხ. ვიშნევსკი აგვიწერს, ნევის ნაპირზე ფერისცვალების ეკლესიის მახლობლად მოწყობილი იყო 170-ე გერმანული დივიზიის წინაააღმდეგობის კვანძი. მას ურტყამდა ბარბაძაძის ბატარია.

„ორ საათ-ნახევარს გრძელდებოდა სროლა,—სწერს ამხ. ვიშნევსკი.—170-ე დივიზია გასრესილ იქნა. ბარბაძაძე გვიჩვენებს გერმანულ ზარბაზნებს, ისინი გატენილია: გერმანელებს გასროლა ვერ მოუსწრიათ“.

ამხ. ვიშნევსკი ბარბაძაძის ბატარიის მებრძოლთა თავდადებისა და მამაცობის ერთ ასეთ ეპიზოდს აგვიწერს:

— ერთ-ერთ ღია გადასარბენზე, სადაც რაც გინდა ინიღბო, ვერაფერს დაფარავ, შემადგენლობას მოხვდა ორი 500-კილოგრამიანი ბომბი. ქვემეხთა მრავალტონიანი ბაქნები გადაყრილ იქნა ლიანდაგიდან და ისინი მთელი თავისი სიმძიმით ჩაეფლნენ სველ მიწაში. სპეციალისტებს იმედი დაეკარგათ ბატარიის გადარჩენისა, რადგან რკინიგზაზე საჭირო ამწეები არ მოეპოვებოდათ. საქმეს წითელფლოტურმა მიხვედრილობამ უშველა. განუწყვეტლივ ეძებს დღე-დამეს მუშაობდნენ მეზღვაურები. მეექვსე დღეს ლიანდაგთაი აშენდა ახალი რკინიგზის შტო, მიადგა ორთქლმავალი და ფრთხილად გამოადგორა რკინიგზაზე გადარჩენილი ბატარია. „ბარბაძაძე“ სავსებით საბრძოლო მდგომარეობაში გამოვიდა საშემოდგომო ბრძოლაში ლენინგრადისათვის.

გერმანელებმა კი თავის ცნობებში აღნიშნეს უძველესი რუსული საზღვაო ბატარიის მოსპობა.

ან კიდევ ასეთი შემთხვევა, რომელსაც აგვიწერს გაზეთ „კრასნი ფლოტის“ კორესპონდენტი ლევ უსპენსკი:

— საბრძოლო ოპერაციების დროს მტრის მძიმე ავიაბომბმა ლიანდაგიდან გადააგდო ყუმბარებით სავსე ვაგონიროდესაც თავდასხმის შედეგები ლიკვიდირებულ იქნა, არტილერისტების წინაშე დადგა მრისხანე ამოცანა — რა უყონ ყუმბარებით სავსე გადაბრუნებულ ვაგონს. საარტილერიო ყუმბარას თავისი არსებობის მთელ ნაძიძლზე ხომ მხოლოდ ორი ბიგის განცდა შეეძლია — გასროლის დროს და მიზანში მოხვედრისას. აქ კი ასეული ყუმბარა იყო, რომელმაც კატასტროფის დროს უკვე განიცადა პირველი ბიძგი. ერთადერთი საშუალება იყო ფოლადის გარსში მოქცეული მთელი ამ საშინელი მასის გაუფუჭებლად—თითოეული ყუმბარისათვის ამფეთქებლის ამოძრობა. მხოლოდ მაშინ შეიძლებოდა ამ ძვირფასი საბრძოლო მარაგის გადარჩენა. მაგრამ ამის გაკეთება ხომ სასიკვდილო საფრთხეს შეიცავს.

საბრძოლო კოლექტივი მაგალითს თავის მეთაურისაგან იღებს. ბარბაძაძის ადამიანები მის მიერ არიან აღზრდილნი. მათ უშიშრად შეასრულეს მეთაურის ბრძანება. თითო-თითოდ გამოიტანეს ყუმბარები გადაბრუნებული ვაგონიდან, უდიდესი სიფრთხილით შეუცვალეს ძველი ამფეთქებლები ახლებით, და უკლებლივ ყველა ყუმბარა შემდეგ მტრის ბანაკში იქნა გაგზავნილი.

— არტილერიის გარეგანი და შინაგანი ბალისტიკის გარდა,—სწერს ამხ. უსპენსკი,—მოქმედებს კიდევ მაღალი ბალისტიკა არტილერისტთა სულისა, და კაპიტანი ბარბაძაძე, რომელმაც შესძლო შთაენერგა თავისი ხელქვეითებისათვის მაღალი საბრძოლო სულისკვეთება, აღიარებულ უნდა იქნას მის ოსტატად.

კაპიტანი გ. ი. ბარბაძაძე წითელდროშოვანი ბალტიკის ბოლშევიკი მეთაურია, სოციალისტური სამშობლოს მგზნებარე პატრიოტი, მგრძნობიარე, ამხანაგებისა და თავისი ხელქვეითების მოყვარული.

— მას ფლოტში იცნობენ, როგორც მამაცს, მცოდნე, მიხვრეხებულ მეთაურს. იგი უყვართ მებრძოლებს, მას პატივს სცემენ დანარჩენი მეთაურები—სწერს ამხ. უსპენსკი.

კაპიტან ბარბაძაძეს უსაზღვროდ უყვარს ლენინის ქალაქი—ოქტომბრის რევოლუციის აკვანი და ამაყობს იმით, რომ მას წილად ხვდა ბედნიერება იბრძოდეს ამ სახელოვანი ქალაქის დამცველთა რიგებში.

ნათესავისადმი მიწერილ ერთ-ერთ წერილში იგი სწერს:

„მხურვალე სალამს გიგზავნი წითელდროშოვანი ბალტიკიდან. უკვე ორი წელია, რაც ჩვენ გმირულად ვიცავთ ამ საუცხოო ქალაქს. ჰიტლერელთა ვერაკეთაი ცდა—დაიმორჩილონ ეს ამაყი ქალაქი, მიზანს ვერ აღწევს. მე ვამაყობ, რომ წილად მხვდა ლენინის ქალაქის დაცვა“.

კაპიტანი გ. ი. ბარბაძაძე გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე გამოჩენილი გულადობისა და მამაცობისათვის დაჯილდოებულია სამამული ომის ორდენით.

ა. ᲒᲘᲫᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ-ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲝ ᲤᲚᲝᲢᲘᲡ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘᲡ ᲬᲘᲜ

თბილისის წითელი არმიის სახლში იხსნება დიდი ფოტოდოკუმენტალური გამოფენა შავი ზღვის ფლოტის საბრძოლო საქმეთა შესახებ. წითელი არმიის სახლის პარკში 24 ივლისს გაიმართება დიდი საღამო-სეირნობა, მიძღვნილი სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღესასწაულისადმი. კონცერტში გამოვა შავი ზღვის ფლოტის ჯაზორკესტრი, რომელიც თბილისში ჩამოვიდა. თბილისის გარნიზონის ნაწილებსა და ქვეგანაყოფებში სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღეს ჩატარდება ლექციები და საუბრები.

წითელდროშოვანი ბალტიის ფლოტი. დღისით და ღამით ფხიზლად ეწევიან ვახტს წითელდროშოვანი ბალტიკის მეზღვაურები. სურათზე: ლეიტენანტ ვ. ბერდნიკოვის (მარცხნივ) კატერი მიდის დაზვერვაზე. მარჯვნივ—მესაჭე წითელფლოტელი ი. პეტრესიანი. ფოტო ბ. ლოსინისა (საკავშირო ფოტოქრონიკა)

ᲩᲔᲠᲜᲘᲨᲔᲕᲡᲙᲘ

(ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲓᲐᲜ 115 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲛᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ.)

მარქსმა, როცა წაიკითხა ჯონ სტიუარტ მილის „პოლიტიკური ეკონომიის საფუძვლების“ შესახებ ნიკოლოზ გაბრიელის-ძე ჩერნიშევსკის შენიშვნები, რაზნოჩინელებმა იდეური ბელადს „დიდი რუსი მეცნიერი-კრიტიკოსი“ უწოდა. ჩერნიშევსკის მარქსი აგრეთვე ახასიათებდა, როგორც „ღრმა და ორიგინალურ მოაზროვნეს“.

ტრაგიზმით აღსავსეა ჩერნიშევსკის მთელი ცხოვრება. თითქმის ნახევარი ამ ცხოვრებიდან დიდმა რევოლუციონერმა დემოკრატმა ციხეებსა და საკატორღო გადასახლებაში გაატარა. დეკაბრისტების აჯანყების ჩაქრობისა და პეტრაშევლების შეთქმულების განადგურების შემდეგ დაწყებული რეაქციის სუსტიან წლებში გამოიჭედა ჩერნიშევსკის შეურიგებელი ნებისყოფა მეფის თვითმპყრობელობისა და ბატონყმური რეჟიმის წინააღმდეგ.

ჩერნიშევსკი დაიბადა 1828 წლის 24 (12) ივლისს სარატოვში, მღვდლის ოჯახში. ნიჭიერ ბავშვს მშობლები სასულიერო მოღვაწეობისათვის ამზადებდნენ. მაგრამ დაუცხრომელი ახალგაზრდა, რომელიც მრავალ უცხო ენას თავისუფლად ფლობდა და ორიგინალებში კითხულობდა ჰეგელს, პრუდონს, ლუი ბლანს, სმიტს, რიკარდოს, გაიტაცა მეცნიერებამ. მის გონებრივ განვითარებაზე ღრმა გავლენა იქონია იმდროინდელმა სოციალურმა ბოროტებამ და განსაკუთრებით 1848 წლის რევოლუციამ საფრანგეთში. 1848 წელს ჩერნიშევსკიმ დღიურში თავის თავს „სოციალისტებისა და კომუნისტების პარტიანი“ უწოდა. იგი ჩამოყალიბდა, როგორც „წითელი რესპუბლიკელი“. 1853 წელს კი უკვე გრძნობდა: დაიწყებოდა აჯანყება და იგი მას მიემხრობოდა, როგორც ეს თავის საცოლეს ოლგა სოკრატეს-ასულს გაუმჟღავნა.

პეტერბურგის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ 1850 წლიდან 1853 წლამდე ჩერნიშევსკი მასწავლებელია სარატოვის გიმნაზიაში, შემდეგ მიდის ისევ პეტერბურგში და 1855 წელს იცავს სამაგისტრო დისერტაციას—„ხელოვნების ესთეტიკური დამოკიდებულებანი სინამდვილისადმი“. ოფიციალური ოპონენტების პლეტნიოვისა და ნიკიტინის შენიშვნებს ახალგაზრდა მეცნიერმა ბრწყინვალე პასუხი გასცა, მაგრამ მას მაინც არ აძლევენ ხარისხს. ჩერნიშევსკი უკათედროდ დარჩა. სამაგიეროდ მან ახალი კათედრა მიიღო „ოტეჩესტვენნე ზაპისკიდან“ „სოვრემენნიკში“ — ამდროინდელ რადიკალურ-პროგრესიულ ჟურნალში, რომელსაც ნეკრასოვი რედაქტორობდა. ამ ჟურნალში დაიბეჭდა 1855 წ. ჩერნიშევსკის წერილი — „გოგოლის პერიოდის რუსული ლიტერატურის ნარკვევები“, რომელშიაც განხილულია რუსული ლიტერატურა პოლეგოვით დაწყებული და ბელინსკით დამთავრებული. ეს წერილი წარმოადგენს ბელინსკის ლიტერატურული პრაქტიკის განვითარებას და გაგრძელებას იმავე შეხედულებებისა, რაც ჩერნიშევსკიმ თავის სამაგისტრო დისერტაციაში ჩამოაყალიბა.

ჩერნიშევსკიმ რუსულ ლიტერატურაში საფუძველი ჩაუყარა ესთეტიკურულ ესთეტიკას. მისი სამაგისტრო დისერტაცია წარმოადგენს ფეიერბახის მატერიალისტური ფილოსოფიის გამოყენებას ესთეტიკის სფეროში. ხელოვნებას მან მოსთხოვა არა მარტო სინამდვილის სწორად გამოხატვა, არამედ გაანიჭინის გამოტანაც ცხოვრებაზე, ხალხის, მასების სამსახური და ამავე დროს განსაზღვრა როგორც „ცხოვრების სახელმძღვანელო“. ამ ნაშრომს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მთელი რუსული ლიტერატურისათვის. ამ პატარა წიგნზე აღიზარდა რუსი რაზნოჩინელების მთელი თაობა. ტყუილად კი არ წერდა შელგუნოვი: „ეს იყო უდიდესი ქადაგება ჰუმანიზმისა, კაცობრიობის უდიდესი სიყვარული, რომლის სამსახურისაკენ მოუწოდებდა ის ხელოვნებას“. ჩერნიშევსკის სახელი 60-იან წლებში გადაიქცა პროგრესიული ინტელიგენციის დროშად, რომლის სახელოვანი წარმომადგენლები იყვნენ დობროლიუბოვი, სერნო-სოლოვიევიჩი, პისარევი, ზაიცევი.

განმანათლებელი და ხალხის ბედნიერი ცხოვრებისათვის დაღლილი მებრძოლი ჩერნიშევსკი დარწმუნებული იყო, რომ საჭიროა რევოლუცია თავისუფლების მოსაპოვებლად, მაგრამ როგორც უტოპიური სოციალისტი, ფიქრობდა გლეხური თემის შენარჩუნებას. 1861 წლის საგლეხო რეფორმას ჩერნიშევსკიმ „სისაძაგლე“ უწოდა. „უმისამართო წერილებში“ და „პროლოგის პროლოგში“ დიდი რევოლუციონერი დემოკრატი ნიღაბს ხდის გლეხების ამ ფიქტიურ განთავისუფლებას. და იმ დროს, როცა გერცენი „კოლოკოლში“ აღფრთოვანებას გამოსთქვამდა საგლეხო რეფორმით, ჩერნიშევსკი თავის სახელგანთქმულ წერილში გერცენსადმი სწერდა: „ჩვენი მდგომარეობა საშინელია, აუტანელი, და მხოლოდ ნაჯახს შეუძლია დაგვიხსნას და არაფერი, გარდა ნაჯახისა, არ გვიშველის!.. ნაჯახისაკენ მოუწოდეთ რუსეთს!“. ასე ნათლად გაერკვა ჩერნიშევსკი საგლეხო რეფორმის რთულ ლაბირინტში. საჭირო იყო სწორედ ჩერნიშევსკის გენიალობა, როგორც ლენინი მიუთითებს, რომ იმ დროს, საგლეხო რეფორმის მოხდენის ხანაში, ასე ნათლად ყოფილიყო გაგებული ეს ისტორიული აქტი. ჩერნიშევსკის ნაწერებიდან ჰერის კლასობრივი ბრძოლის ფილოსოფიის ელემენტები ამოიღო. მან წინ გადაუდგა ბატონ ბიხნერსკის და მისი ტიპის ხალხოსნებს, არ შეიდგა ლიბერალებთან ერთად ჩერნიშევსკის ცალმხრივ ეკონომიურ „ეტიუდებს“ „სოვრემენნიკში“ ბრძოლა მისი ტიპის ხალხოსნებს, ლიბერალებს, ბურჟუაზიულ ეკონომისტებს, ანარქისტებს, ბაკუნინს, ლავროვს, ტკაჩოვს, ნეჩაევს, ბაზაროვს, ბელინსკის, ბოტკინს, ანენკოვს, ფეტს, ტურგენევს, ოსტროვსკის, ფეოფანეს, ალექსეი ტოლსტოიის, ფეტის, ტიუტჩევის, ბაზაროვის